

სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახურის მიერ გაწეული

მუშაობის შესახებ

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტით სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსებისათვის გეგმით დამტკიცებულია 500 ათასი ლარი, მიმდინარე წლის 19 სექტემბრის მდგომარეობით ხარჯმა შეადგინა 401 ათასი ლარი (ვალდებულების კლება იგივე 27,5 ათასი ლარი). აღნიშნული თანხები მოხმარდა სოციალური პროგრამის დაფინანსებას, რომლის ფარგლებში დახმარება გაეწია მიმდებარე საცხოვრებელ პირობებში მყოფ და სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს და დახმარების თანხამ 20 720 ლარი შეადგინა, აქედან ბინის ქირის ხარჯია 11430 ლარი. ერთჯერადი ფულადი დახმარებით ისარგებლა იძულებით გადაადგილებულმა ხუთმა მოქალაქემ თანხით 650 ლარი. სააგარიშო პერიოდში ფულადი დახმარების სახით 15 830 ლარი მიიღო საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ ოჯახებმა, ხოლო სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებისათვის გაგაიხარჯა 268 208 ლარი, მათ შორის სუბსიდიის მუხლიდან 48 500 ლარი, ა(ა)იპ განათლების დღის ცენტრი 9750 ლარი, ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება 38 730 ლარი. „C“ ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის დახმარების თანხა 8258 ლარი. პროგრამის შესაბამისად ფულადი დახმარება ისარგებლა თირკმლის უკმარისობით დაავადებულმა 9 ბენეფიციარმა, რომლებსაც პირად საბანკო ანგარიშზე 12320 ლარი ჩაერიცხათ. დაკმაყოფილდა გულისთანდაყოლილი პათოლოგიით და ეპილეფსიით დაავადებული 9 ბენეფიციარის მოთხოვნა და თანხა გადაირიცხა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებას სულ 2160 ლარის ოდენობით. ხოლო, ჰემოფილიით დაავადებულ სამ ბენეფიციარს დაერიცხა პირად საბანკო ანგარიშზე 1 110 ლარი. ამ პერიოდისათვის ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისათვის გაწეული იქნა 77 750 ლარის დახმარება (ვალდებულების კლება 7080 ლარი). ფულადი დახმარებები მიიღო 27 მრავალშვილიანმა ოჯახმა თანხით 25375 ლარის ოდენობით, ახალშობილთა 76 ოჯახმა მიიღო მიიღო 15200 ლარი, ხოლო დედ-მამით ობოლი ბავშვის ერთ ოჯახს გადაერიცხა 1600 ლარი. 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა ოჯახებს კომუნალური მომსახურებისათვის გადაერიცხათ 15 330 ლარი (ამ მომსახურებით სარგებლობს 57 ოჯახი). პროგრამის შესაბამისად დახმარება გაეწია განსაკუთრებით მიმდებარე ჯანმრთელობის მქონე ოთხი ბენეფიციარის ოჯახს დახმარების თანხა 2560 ლარი. სარიტუალო (დაკრძალვის) მომსახურებისათვის ხარჯი-1000 ლარი, ხანდაზმულ (100 წლის და მეტი ასაკის) სამ პირს პირად ანგარიშზე ჩაერიცხა თითოეულს 300 (სამასი) ლარი, სულ 900 ლარი.

პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების საკითხის გადაწყვეტა ხდება სამსახურის მიერ ყოველმხრივ შესწავლის საფუძველზე. დახმარების მიმღებთა ოჯახებში (დემოგრაფიული ცვლილება, ასაკი და სხვა) ცვლილებების შესაბამისად, ბენეფიციართა სიებში (დახმარების დანიშვნა, გაუქმება, აღდგენა, შეწყვეტა) დაზუსტება, რომლის შემდეგ მზადდება ბრძანების პროექტი შემდგომი დახმარების მიმღებთა დაფინანსებისათვის.

სოციალურ საკითხთა და კულტურის

სამსახურის უფროსი

ნიკოლოზ დუმბაძე.